Auditor General of the State Audit Office
Order No. 009746/21
26 November 2019
Tbilisi

On the Approval of the Code of Ethics for the Auditors of the State Audit Office

For ensuring full performance of the tasks of the State Audit Office and promoting public confidence, due to the special importance of each exemplary behaviour of each member of staff, in accordance with the Organic Law of the State Audit Office of Georgia, Article 10, Paragraph "m" and "n," and the General Administrative Code of Georgia, Article, I hereby order:

Article 1

To approve the Code of Ethics for the Auditors of the State Audit Office (attached).

Article 2

To declare invalid the Order No. 65/37 of the Auditor General of the State Audit Office on the Approval of the Code of Ethics for the Auditors of the State Audit Office issued on 4 April 2013.

Article 3

This order is to be enacted immediately upon its publication.

Auditor General of State Audit Office **Erekle Mekvabishvili**

Code of Ethics for the Auditors of the State Audit Office

Article 1. Scope of regulation of the Code

1. This code defines the ethical values and principles by which the auditor of the State Audit Office (hereinafter – the Office) is guided in its professional work and, if appropriate, in personal life.
2. Provisions of this Code, with applicable content, also applies to other employees of the Office.
3. This Code shall be interpreted by considering the content of its specific norms and the general spirt of the Code.

Article 2. Ethical values and principles

The auditor's ethical values and principles are:
a) Honesty – acts in good faith, taking into account public interests;
b) Independence and objectivity – free from circumstances or influences, that compromises professional judgment, or may be perceived as such, and adheres to impartiality;
c) Professionalism – performs professional activities according to the basis of the relevant standards, with high quality and responsibility;
d) Confidentiality – protects the requirement about the limit of the disclosure of official information which is balanced by the principles of transparency and accountability;
e) Professional conduct – acts in line with the relevant legislation and other normative regulations and avoids the behaviour that might harm the job.

Article 3. Honesty

The auditor tries to be exemplary, acting in good faith and in the public interest, which means:
a) Ethically correct behavior that determines the reliability of professional decision with the following main features:

a.a) Justified – audit findings, conclusions and recommendations are understandable and clearly formulated and are based on a sufficient and convincing set of evidence, which provides accurate, correct and fair professional judgement;
a.b) Credible – working documents confirm that the audit was conducted in accordance with international audit standards (ISSAI), all methodological steps were taken during the audit process and all findings, conclusions and recommendations are properly substantiated;

b) High sense of responsibility – position, authority, official information and property will be used only for the purpose specified by law;

c) On the part of the auditor, the protection of the rules ensuring the ethical value of honesty, as well as the promotion of their protection.

Article 4. Independence and objectivity

1. The auditor's independence and objectivity are determined by:

a) Subjective impartiality test – the auditor is expected to carry out professional activities free from subjective feelings or attitudes, only on the basis of law. For ensuring this principle, much importance is attributed to the auditor's own perception, attitude toward the work or any party, whether they have subjective feelings, which can not be suppressed and denied, considering their human nature. The auditor meets the subjective impartiality standard, when from a subjective point of view, it is not biased and interested in the outcome of the case;

b) By the test of objective impartiality – the auditor meets the objective standard of impartiality when there is no circumstance that creates grounds for the objective observer to doubt the impartiality of the auditor. When there is a circumstance on the basis of which the doubt about an auditor's impartiality can be justified, a logical, objective test of impartiality involves checking whether sufficient guarantees are provided in this regard to rule out doubts against the auditor. When the doubt about impartiality has objective grounds, it no longer matters whether the auditor is biased subjectively or not. The independence and principle of visible objectivity of the auditor is guaranteed in this way.

2. The auditor acts without influence and avoids such circumstances which effectively or apparently limits their independence and objectivity. Above mentioned includes (but is not limited to) compliance with the following requirements:

a) The auditor acts in accordance with the principle of political neutrality, which considers professional work to be free from political influence and personal political opinions. They refrains from such actions that can be perceived as a persuasion of interests of a particular political party;

b) The auditor does not participate in the management of human, financial, material or intangible resources and the decision-making process on other issues, which are related to the leadership, management and control of the audit object and is the managerial responsibility of the audit object;

c) The auditor ensures that the office is informed about such circumstances that may affect the exercise of his/her official authority, or will be perceived as a direct or indirect influence of private interest on their official work (for example, personal or professional interests, or connections with the audit object or the subject of the audit);

d) The auditor does not accept any offer and/or gift that may influence the conduct of their work, or may be perceived as a private interest.

Article 5. Professionalism

1. The auditor performs activities within the scope of authority in a qualified and appropriate manner, diligently and in compliance with etiquette.

2. The characteristics of the criteria determining the auditor's professionalism are:
a) Qualification – possessing necessary knowledge and skills to perform the work and application in practical activities, willingness to share professional knowledge and experience with colleagues, as well as openness to news, eagerness to improve the level of professional knowledge and skills (self-development, participation in professional development programs);

b) diligence – performing work carefully, thoroughly, duly and on time;

c) Etiquette – behaviour corresponding to customer standards and office culture (courtesy, self-restraint, mutual respect among colleagues, orderliness, timekeeping and other.).

Article 6. Confidentiality

1. The auditor does not disclose official information, except the cases when there is a legal basis.

2. The auditor avoids using official information to satisfy private interests, and gain an advantage for oneself or another.

3. The auditor takes appropriate measures to ensure confidentiality (protection of passwords, electronic information carriers, showing moderation and caution in conversations related to work issues, etc.).

4. The auditor is required to maintain confidentiality even after leaving the position.

Article 7. Professional conduct

1. The auditor is guided by the legislation of Georgia and the requirements established for the position they hold.

2. The auditor refrains from such actions, statements and/or social activity that may cause damage to the office, regardless they are in the office or out of work.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის

ბრძანება №009746/21

2019 წლის 26 ნოემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ამოცანების სრულყოფილად შესრულების უზრუნველყოფის და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების ხელშეწყობის თვალსაზრისით, მისი თითოეული მოსამსახურის სანიმუშო ქცევის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსი (თან ერთვის).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 4 აპრილის №65/37 ბრძანება „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
გენერალური აუდიტორი

ირაკლი მექვაბიშვილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა

ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. კოდექსის რეგულირების სფერო

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს ეთიკურ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებითაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) აუდიტორი თავის პროფესიულ საქმიანობაში და, თუ შესაფერისია, პირად ცხოვრებაში.

2. ამ კოდექსის დებულებები, შინაარსის მისადაგებით, აგრეთვე ვრცელდება სამსახურის სხვა მოსამსახურეებზე.

3. ეს კოდექსი განიმარტება მისი კონკრეტული ნორმების შინაარსისა და კოდექსის საერთო სულისკვეთების გათვალისწინებით.

მუხლი 2. ეთიკური ღირებულებები და პრინციპები

აუდიტორის ეთიკური ღირებულებები და პრინციპებია:

ა) პატიოსნება – მოქმედებს კეთილსინდისიერად, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით;

ბ) დამოუკიდებლობა და ობიექტურობა – თავისუფალია გარემოებებისგან ან გავლენებისგან, რომლებიც პროფესიული განსჯის კომპრომეტირებას ახდენს, ან ასეთად შეიძლება იქნეს აღქმული, და იცავს მიუკერძოებლობას;

გ) პროფესიონალიზმი – პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე, მაღალი ხარისხითა და პასუხისმგებლობით;

დ) კონფიდენციალობა – იცავს მოთხოვნას სამსახურებრივი ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდვის

შესახებ, რომელიც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებით ბალანსდება;

ე) პროფესიული ქცევა – მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე და თავს არიდებს ქცევას, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს სამსახურს.

მუხლი 3. პატიოსნება

აუდიტორი ცდილობს იყოს სამაგალითო, მოქმედებს რა კეთილსინდისიერად და საჯარო ინტერესების დაცვით. აღნიშნული გულისხმობს:

ა) ეთიკურად სწორ ქცევას, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული გადაწყვეტილების სანდოობას შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:

ა.ა) დასაბუთებული – აუდიტის მიგნება, დასკვნა და რეკომენდაცია გასაგებად, ნათლად არის ფორმულირებული და ემყარება მტკიცებულებების საკმარის და დამაჯერებელ ერთობლიობას, რომელიც ზუსტ, სწორ და სამართლიან პროფესიულ განსჯას უზრუნველყოფს;

ა.ბ) სარწმუნო – სამუშაო დოკუმენტები ადასტურებს, რომ აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, აუდიტის პროცესში ყველა მეთოდოლოგიური საფეხური იქნა გავლილი და ყველა მიგნება, დასკვნა და რეკომენდაცია არის სათანადოდ დასაბუთებული;

ბ) პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას – თანამდებობრივი მდგომარეობა, უფლებამოსილება, სამსახურებრივი ინფორმაცია და ქონება მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით იქნეს გამოყენებული;

გ) აუდიტორის მხრიდან, როგორც პატიოსნების ეთიკური ღირებულების უზრუნველმყოფი წესების დაცვას, ისე მათი დაცვის ხელშეწყობას.

მუხლი 4. დამოუკიდებლობა და ობიექტურობა

1. აუდიტორის დამოუკიდებლობა და ობიექტურობა განისაზღვრება:

ა) სუბიექტური მიუკერძოებლობის ტესტით – აუდიტორის მიმართ მოქმედებს მოლოდინი, რომ პროფესიული საქმიანობა განახორციელოს სუბიექტური განცდებისა თუ დამოკიდებულებებისგან თავისუფლად, მხოლოდ კანონის საფუძველზე. ამ პრინციპის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად აუდიტორის აღქმას, დამოკიდებულებას საქმისა თუ რომელიმე მხარის მიმართ, გააჩნია თუ არა მას იმგვარი სუბიექტური გრძნობები, რომელთა დათრგუნვა და უარყოფაც, მისი ადამიანური ბუნების გათვალისწინებით, არ შეუძლია. აუდიტორი აკმაყოფილებს სუბიექტური მიუკერძოებლობის სტანდარტს, როდესაც სუბიექტური თვალსაზრისით არ არის მიკერძოებული და დაინტერესებული საქმის შედეგით;

ბ) ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტით – აუდიტორი აკმაყოფილებს ობიექტური მიუკერძოებლობის სტანდარტს, როდესაც არ არსებობს გარემოება, რომელიც ობიექტური დამკვირვებლისთვის აუდიტორის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ქმნის. როდესაც იკვეთება გარემოება, რომლის საფუძველზე აუდიტორის მიუკერძოებლობის თაობაზე ეჭვის წარმოშობა შეიძლება გამართლებული, ლოგიკური იყოს, ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტი იმის შემოწმებას გულისხმობს, უზრუნველყოფილია თუ არა საკმარისი გარანტიები ამ მიმართებით აუდიტორის წინააღმდეგ ეჭვების გამოსარიცხად. როდესაც ეჭვს მიუკერძოებლობის თაობაზე ობიექტური საფუძველი გააჩნია, მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, არის თუ არა აუდიტორი მართლაც მიკერძოებული სუბიექტურად. სწორედ ამ გზით ხდება აუდიტორის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის თვალსაჩინობის პრინციპის უზრუნველყოფა.

2. აუდიტორი მოქმედებს ზეგავლენის გარეშე და თავს არიდებს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ფაქტობრივად ან გარეგნულად ზღუდავს მის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას. აღნიშნული მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ მოთხოვნებთან შესაბამისობას:

ა) აუდიტორი მოქმედებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად, რაც პროფესიული საქმიანობის პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფლად და პირადი პოლიტიკური

შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად განხორციელებას ითვალისწინებს. იგი თავს იკავებს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც შესაძლებელია, აღქმულ იქნეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გატარებად;

ბ) აუდიტორი არ მონაწილეობს აუდიტის ობიექტის ადამიანური, ფინანსური, მატერიალური თუ არამატერიალური რესურსების მართვისა და სხვა ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობას, მართვასა და კონტროლს უკავშირდება და აუდიტის ობიექტის მენეჯერულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს;

გ) აუდიტორი უზრუნველყოფს სამსახურის ინფორმირებას ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე, ან აღქმულ იქნეს, როგორც კერძო ინტერესის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მის სამსახურებრივ საქმიანობაზე (მაგალითად, აუდიტის ობიექტთან ან აუდიტის საგანთან პირადი ან სამსახურებრივი ინტერესი აკავშირებს ან აკავშირებდა);

დ) აუდიტორი არ იღებს შეთავაზებას ან/და საჩუქარს, რომელმაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე, ან აღქმულ იქნეს კერძო ინტერესის გატარების საფუძვლად.

მუხლი 5. პროფესიონალიზმი

1. აუდიტორი უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას კვალიფიციურად, სათანადო გულმოდგინებითა და ეტიკეტის დაცვით ახორციელებს.

2. აუდიტორის პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი კრიტერიუმების მახასიათებლებია:

ა) კვალიფიკაცია – სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფლობა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების კოლეგებისათვის გაზიარების მზაობა, ასევე სიახლეების მიმართ ღიაობა, პროფესიული ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა (თვითგანვითარება, პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა);

ბ) გულმოდგინება – სამუშაოს ყურადღებით, საფუძვლიანად, მონდომებით და დროულად შესრულება;

გ) ეტიკეტი – მომსახურების სტანდარტისა და საოფისე კულტურის შესაბამისი ქცევა (თავაზიანობა, თავდაჭერილობა, კოლეგებს შორის ურთიერთპატივისცემა, მოწესრიგებულობა, პუნქტუალურობა და სხვ.).

მუხლი 6. კონფიდენციალობა

1. აუდიტორი არ ამჟღავნებს სამსახურებრივ ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საამისოდ არსებობს სამართლებრივი საფუძველი.

2. აუდიტორი თავს არიდებს სამსახურებრივი ინფორმაციის გამოყენებას კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად.

3. აუდიტორი იღებს სათანადო ზომებს კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველსაყოფად (პაროლების, ელექტრონული ინფორმაციის მატარებლების უსაფრთხოების დაცვა, სამსახურთან დაკავშირებულ საკითხებზე ყოფით საუბრებში ზომიერების, სიფრთხილის გამოჩენა და სხვ.).

4. კონფიდენციალობის დაცვა აუდიტორს სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც მოეთხოვება.

მუხლი 7. პროფესიული ქცევა

1. აუდიტორი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი მოთხოვნებით.

2. აუდიტორი თავს იკავებს ისეთი ქმედებებისაგან, განცხადებებისაგან ან/და სოციალური აქტივობისაგან, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს სამსახურს, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი, თუ სამსახურის გარეთ.